

სელის-მოწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში  
შოაწმინდის ქუჩაზე, შიოყვის სახლების ზე-  
მოდ, სახლი № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიო-  
თეკაში.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს  
ენაზედ.



«ივერიის» ფასი

ერთის წლისა, გაგზავნილ ჟურნალსა. —  
სახვედრის წლისა . . . . . 3მ. 50კ.  
თითო ნომერი . . . . . 1მ. 5კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწო-  
რებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოცხადებულ  
წერილებს.

ს ა ზ ო ლ ი ტ ი კ ო და ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო გ ა ს ე თ ი .  
გამოდის ხუთშაბათობით

გაზეთი ივერია გამოვა 1878 წელს  
იმავე სახით, იმავე პროგრამით და ისევე კვი-  
რადი ერთხელ, ხუთშაბათობით.

ფასი ერთის წლისა, გაგზავნილ თუ გა-  
უგზავნელად, შეიღი მანეთია.

სელის-მოწერა მიიღება დილისათვის სწა-  
თილამ ნაშუადღევს ორს სხათამდე ტფილისში,  
«ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება  
შოაწმინდის ქუჩაზე, შიოყვის სახლების ზე-  
მოდ, ქანანოვის სახლში, № 5.

ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბ-  
ლიოთეკაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა შეუძ-  
ლიანთ დაიბარონ გაზეთი «ივერია» ამ ად-  
რესით: **Въ Тифлисъ, въ редакцію  
газеты ИВЕРІА.**

სამიხედილი I. საქართველოს მატთანუ: («ივერიის» კორ-  
ესპონდენტები). — ჯუგაანდამ, გურჯაანდამ, თიანე-  
თდამ, სურამდამ, ხაშური. — II. საშობლოტი-  
კო მიმონილვა. წვრილი ამბები. — III. გლეხური  
სიძეურები. — IV. რამდენამე სიტყვა რიგანის „საწერის  
დღანის“ უქონველობაზედ. V. კარბლოვისა. — VI. ფიქრი  
და შენიშვნა. — VII. შვილი მოხუცებულის გამზის (სერ-  
ბული მოთხრობა) (შემდეგ).

საქართველოს მატთანუ

(«ივერიის» კორესპონდენტები)

წერილი ჯუგაანდამ 7 თებერვალს 1878 წ. გათავდა  
ს. გურჯაანში სუღია მამასახლისის აჩივანი (?). გა-  
თავდა და ხალხს გული თან და თან უფრთა და უფ-

რთა ემძვინვარება, მატთანუ დროდის დაიმშვიდა: დამძვინვარე-  
ლობის მწვადის სუნი მისდიოდა... თანაც «აღიღობა-  
ბა» (შობა) კატარა მისსველელი იყო. თან და თან  
ახლოვდებოდა იგი და თანაც ერთ ალაგას ერთი «რა-  
დაც ამბავი» საიდუმლოდ მზადდებოდა. მინდოდა ამ  
ამბის შეტეობა. ამასობაში დამიგვიანდა, ამისათვის  
მომიტევეთ, თუ ცოტა გვიან გაცნობეთ, ისიც ჯუგა-  
ანდგან, მატთანუ «ტელეგრაფი» გვაქვს რამდენსამე  
ზინს... აი ეს ამბავი თუკმე რა იყო: ს. გურჯაანში  
სცხოვრებს ერთი ფრანგი გასუქებული გლეხი კანა-  
ს—კანაშელი—ჯ—შე, რომელიც (თუკმე შეხედო-  
ბეგ ის ნოდანა, ისეგ ის თომას იმავე ტყავით) ამ-  
ზანტავნობისაგან ყველას მალეიდგან დაჭყვივის—  
«ვინა ყრისანთო!» მართალი უთქვავთ: «ჭიანჭველას  
რთა ფრთები გამოუვა, ღმერთი მამინ გაუწყებება»,  
აი ამ ტეტი-კრეზმა რა მინდოდა: მე სხვა გლეხთა  
ტოლი აზრ ვარ, მინდა ჩემი გრამებით აზნაური გავ-  
ხდეო. უარს სოფელს, უარს და რამ ვერა განდა რა,  
ეს მონიერსა: დაჭმანტიყა მამასახლისი, მწერალი და  
ორიგ სხვა; კანტა კანდაკვრეგინა და შეადგენინა ქა-  
დალდი, სოფლის მატეირად (ორას სამოცი კაცის მა-  
ტიერად!) მოაწერინა ხელი და შეამწებინა მამასახ-  
ლისს—ვითომც სოფელს სურს იმ კრეზ-ტეტიამ მეო-  
რე გილდის მოწმობა აიღოს. გაიგო სოფელმა—  
ს—კანაშელი კანტავისუფლებითა, ჩვენ მატეირ ხე-  
ლი მოუწერინათო... შეიქნა ყავანი. გაუგზავნეს კანტი  
მამასახლისს: «სოფელი გთხოვს აქ მადლიო» (იმ დროს  
ის ს—კანაშელთან ნუნუსს სვამდა); იმან მოსწერა:  
«არ ვიცი რაზედ სჩივითო, ჩემი ვაღის სოფლის ხელ-  
მოწერილი ქადალდი შევამოწმოვო... გაცხანდა ამ-  
ზედ «ნოდანების» ხროვა... ამასობაში «აღიღობა-

ბა» მოვიდა, ხარბიენ ბუხებოვით მკალილოები, ყვე-  
ლას მხრიდგან მოისმოდა «აღილო» ჟღერდა ხუთის  
რამთვესსა (ამთვესსა) ქრისტე დაბადებულა,

შობა გათენებულა, მადლი მახარობელსა,  
სახლო, დმერთმა აგაშენოს, სახლო, და!»

მოითუთხნა აქა-იქა გურჯანელობა ღირის ქონში,  
ჩაიხრჩეს თავი ღვინოში, მერე ამ სიძვირეში! რაცა  
გამოფხიზლდათ, დაიწყეს რაც-რაცი... მოვიდა სხალი  
წელიწადიც, აი გაიხრდაეს! თაფლის ხსენება ახსად  
იყო! იმდენიც არ იყო, რომ ზატა ეელი ტემცხიძია-  
ნებიათ! მოვიდა მეთქი ახალი წელიწადი,—ერთი რა-  
ღაც უშნო, უღაზათო! ოთხი კაციც არ დამთვრალა  
ღვინით, რომ არ იყო რითი დაითრობოდნენ? წყლე-  
ბიც მაშინ გაყინა და გაუწყნათ ღმერთი. იმითი ძაინც  
ეყარნათ ზატა გულა-გუხანაი! ახალ წლის მერე დღეს  
«ნოდარეები» მოჭყვინენ ყაყანს შემოხსენებულს ამბავ-  
ზედ, გამგონენ გამომგონენ და ვიღასაც დააწერ. ნეს  
«არმა» ესე და ესე შენი ჭირიმე ნაჩაღნიკოვო...»  
ზედაც დაატანეს: «ეგ მამასახლისი ჩვენ არ ამოგვირ-  
ჩევია; ვინც დააყენა, იმას უმამასახლისო. რესე და  
ესე შენი ჭირიმე, გუბერნატოროვო, ძალად მოგვაჩე-  
ჩეს მამასახლისი, არ გვიხიდა, ღმერთმა ხომ იცის,  
და გოსოვთ ყე აგება როგორმე გამოგვაჩეჩოვო, ეხ-  
ლავე ყაღბის ქაღალდების შემოწმებას მიჭეო ხელიო,  
გზირ-ჩაფრებს გვაგაღებინებო, თავისზე დიდს ფეხ  
ქვეშ უგორდება და ჩვენისთანას ფეხებს გვიბრახუ-  
ნებო...» დაწერეს, ჩადეს ბუდეში და გაუგზავნეს გუ-  
ბერნატორს. შეე სამასამდინ კაცმა მოაწერა ხელი,  
ბოლქოსაც სამმა სუღამ ხელი მოაწერა და ბეჭდებიც  
ჭსოხლიშეს...»

ახლა ის «ნოდარეები» და მათთან მთელი გურ-  
ჯანის ანჩევანის განმეორებას მოელის. განა ტყუილდა-  
თა ვთქვით, გურჯანელები ფრანციელებს ჭგვანნო:  
ამათ ძა-მავონინა ჭყავთ, გამბეტაცა, დიუფორიც,  
ჟიულ-სიძონიც და... ლუბილანიც... რადიკალებიც ბე-  
რია, ბონაპარტიელებიც, ორნეალებიც და სხვანი იე-  
ლებიც და აღებიცა ... მოვიდა წყაღურთხევეც... მო-  
ვიდა, მაგრამ წყალი სადღა იყო! ორ დღეს ავსეს  
ქვანები და ნავიც სამ დღეს ივსებოდა წყლით და ნა-  
ხევნათ ვერ მოიყარა— იქნე ქვანებში აკურთხეს; წირ-  
ვა რო გათავდა— მღვდელ-მოთავან-დაიკვანა გამოძე-

კრიდნენ «ნავისკენ» გალობითა: «ხმა უფლისა წყაღ-  
თა ზედა.» წინ და უკან «ნოდარეები» ხატ-შანდლე-  
ხელად აკურთხებოთ მიიკავებოდნენ. კაი დღეც იყო ნთ-  
ლილებს!.. წყალს რო აკურთხებდნენ, ერთ მხარეს  
ზატარძლობა იდგა, ამ დღეს იციან ზატარძლების საყ-  
დარს გამოყვანა; მერე მხარეს «ნეფიანები»—ნოდა-  
როები აკურთხეს წყალი.. ხალხმა დაიძახა: «მოთავ-  
რი ნავში ჩადეთ ყე, კაი მოსავალი მოგვარ...» მოი-  
წვიდეს მოთავარი შუაში... ისეთი წეწვა, ჯბუგუნა იყო,  
შენი მოწონებული ყე! როგორც მოვიდნენ, ისეც წა-  
ვიდნენ უქმეები....

შეიგრა ტყე, მიხლონი; მთა და ბარი! ბევრი  
ფურცელი მოიჭრა, კაკალი, ლეღვი და სხვ. ბევრ  
გენასს შემოაწადეს ჭიგო; ბევრი ღობე მიწვა გვერ-  
დზე უმარგილობით... შემას რო აწავის ანებებენ,  
მარა ეშმაკი და ქაჩი ჭქნან!

ესეც ესე, ჩემო ბატონო, ნურას უკაცრათ.  
სხვას, რაც დამავიწყდა, მერე ვაღვიანებ...

ცხვილოელის თანამოაზრე.

**ბურჯანნი.** გურჯანის სახალხო შკოლა ეს მე-  
სამე წელიწადში გადადგა; მარამ ღმერთმა აშოროს  
მას ის სიღარიბე, ის ყოფლის მხრით შეიწროებული  
მდგომარეობა, რაც მას წარსულს ორს წელიწადში  
გადახდა თავს. წარმოიდგინეთ, რომ ამ შკოლას მუდ-  
მივ არა ჭქონია (ვინ იცის შემდეგში რაღა ეხვევა!)  
არც კარანდაში, არც მელი და არც სხვა წვრილმანი  
სამოსწავლო ნივთები... გარდა ამისა, არა ჭქონია მუდ-  
მივ (და არც ახლა აქვს მუდმივ) შუა საშინელს სი-  
ციფიკეში, როდესაც უსუსურ ზატარა ბავშვებს ხელ-  
ფეხს ჭსძრავდა სიციფე და ზირის სახეს უღურჯე-  
და... მელ-გრინფელს ვეღარ იჭერდნენ ხელში. მარამ  
ეველა გარემოებათა წინააღმდეგ ზატარა ბავშვები—  
მოსწავლენი მანც ხშირათ დადიოდნენ შკოლაში. მო-  
სიარულე მოსწავლეთ რიცხვი ოც-და-ხუთზედ ნაკლე-  
ბი არა ყოფილა წარსულ ორ წელიწადს.

ეხლა, ამ უამად შეიძლება ვთქვათ, რომ გურჯანის  
შკოლა ჩინებულს ქონებით მდგომარეობაშია: ქაღალდი,  
კარანდაში, კალამი, მელი, წიგნები, საწერი ფიცრები,  
ეველა საკმაო არის; მოსწავლეთ რიცხვი ძალიან გა-

რადღა: ერთნაღით 35 მოსწავლე ბიჭია, სულ გლეხები: 6 სამძეხი და 29 ქართველი; 14 მოსწავლე ქალია, 13 ქართველია და 1 სამძეხი: სულ გლეხებისა, ამით გარდა ამ შკოლაში ქსწავლობს ყრუ-მუნჯი 14-ის წლისა, რომელიც ერთი წელიწადია, რაც ბეჯითად დაიარსება შკოლაში; ეს მუნჯი ქსწავლად ვითხოვლობს თავისუფლად; მისთვის საკუთარი ანაზნა მძეხს შედგენილი ხელის თიხების სხვა და სხვა გამოხატულების ნიშნებით; ეს ნიშნები მუნჯმა წმინდათ იცის

მთელი მოსწავლეთ რიცხვი, რომელნიც ამ უმაღლეს ელემენტარულ დაიარსებაში შკოლაში (თუძეც ამის თანა სიცივეში შეშა ხან და ხან გვაკლია ხოლმე) — არის 44, ხოლო რომელნიც ხან არიან, ხან არა 3. აქედან ყველას შეუძლიან დაინახოს, რომ ბავშვებს სწავლის ხალისი ათქმინებეს: ცემა-ტყეპას დედ-მამა-ძმებისაგან (რამდენიმე სახლობიდან ჩუმათ მოდიან შკოლაში), სიცივეს და სხ. ბევრს არა აქვს ქალამანი, წინდა, ქუდი, ჩოხა, ახალუხი, ზერანგი და კიდევ ბევრი რამ სხვა.

მთელი მოსწავლენი ოთხ განყოფილებათ არიან განყოფილნი: ზირველი შესდგება 6 მოსწავლისაგან; ესენი ქსწავლენ თავისუფლათ ქართულათ, — ამ ცოტა ხანში რუსულიც დაიწყეს; იცინან ნუმერაციის მილიონადის ორის ზირველის ანოთეტიკის მოქმედებით თავისუფლათ, მიხვედრილნი არიან სხვა ორ მოქმედებაზედაც; გავლილი აქვთ მშვენივრათ საზოგადო ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილება, რბუნების კანონი და სხ. მეორეში 11 მოსწავლეა — სწავლენ კითხულობენ და იცინან ნუმერაციის 1000-დინ. დანარჩენი ორი განყოფილება სხვა და სხვა დროს მოსულ მოსწავლეთაგან შესდგება.

ესლა ბევრი მსურველია სწავლისა, მარამ უაღვილობისა გამო შკოლა ვერ ახერხებს მათს მიღებას და მხოლოდ აიძულებს დღე-დღეზედ მიგიდებოთ. სტოლები რომ არ არის, ათი მოსწავლე ფეხზედ დგას ხოლმე. ახალი სტოლების დასაკეთებლად ფულის ახლა მოველით უფ. დირექტორისაგან. გვაკლია მეტის მეტად შეშა და შეძთხვევითი საჭირბოებისათვის ფული.

ს. გუჩუა. შკოლის მასწავლ. პ. კ — ეი.

თიანეთი. 2-ს თებერვალს. ჩვენს სოფელში ვაყების სასწავლებელი დიდი ხანია გახლავსო გამართული, სადაც ქსწავლობენ ჩვენი საწავალი გლეხი-შვილები. ჩვენ გლეხებს ყველას გვიხარია, რომ ჩვენი შვილები სწავლობენ შკოლაში. 1874 წელში გავარდა ხმა, რომ ამ ჩვენს სოფელ თიანეთში გაიხსნება ქალების შკოლაცაო. ამან კიდევ უძიფრო გავკამხინარულა და აღტაცებით მოველოდებოდით იმ დროსა, როდესაც გველინსებოდა ქალების სასწავლებლის გახსნა; აი ის დროც მალე გვედინდა. 1875 წ. ოკტომბრის სამში მოგვივიდა ქალების მასწავლებელი ზ. ნ. ორი-სამის დღის განმავლობაში მოვარგოვეთ ორმოცამდისინ ზატარა ქალები და მივარბათ ახალ დაწინებულ ქალების მასწავლებელს, რომელმაც ზარაკლისის შემდეგ დააწყებინა სწავლება ჩვენს ზატარა ქალებს. ჩვენ დღემდის იმედი გვქონდა, რომ ახალგაზდა განათლებული ქალი გავიზდიდა კარგს დეებს, სინიდაისინს, ღვთის მოყვარეს და საქმის გამკეთებელს ქალებს. ჩვენ იმისი მოწყადინე ვიყავით, რომ ჩვენს ქალებს ესწავლნათ კარგი ჭრა და კერვა, რეცხვა, უთობა, ქსოვნა და ამ შკოლიდან გამოეყოფოდნათ ზატაროსანი სინიდაისი და ღვთის მოყვარეობა, რომელნიც, როგორც მოგესსენებათ, ქართველობაში დიდი საჭირაო გახლავსო. მაგრამ ვაი თქვენს მტერს, ჩვენი მოლოდინი არა მართლდება. ხო მოგესსენებათ ქართველები უბედურები ვართ. ეს მასწავლებელი ქალი რადგანაც ახალგაზდა უნათესაო, ობოლი ქალი იყო ისე გვეყანდა ყველას მიღებული, ვითარცა ჩვენი ნამდვილი შვილი და ჩვენის ქალების განმანათლებელი. მაგრამ როგორც გამოაჩინა ბოლომ, ანამც თუ გვიანოლებს ქალებს, ანამედ გვინებ უძიფრო დაუხშო გონება და სრულიად დაგვიმხეცა ჩვენი ზატარა ქალები. როგორც მოგასსენეთ, ყველასთან ისე კადნიერთა ვიხსლებოდით ხოლმე ეს ჩვენი მასწავლებელი ქალი, როგორც თავის სახლში. ეს ზატარის ცემა იმან ვერ იშენია კარგად და მიხეო ენა-მტანობას ხელი, და ერთის მეზობლიდამ მეორე მეზობელს უზიდავდა ენებს და თვითონაც ბევრს უმატებდა, კიდევ იმ მეზობლიდამ მესამესთან, მესამედან მეოთხესთან და ისე არიან ჩვენი თიანეთი. ამას კიდევ ჯანი გავარდეს, მაგრამ ბევრს ცოლ-ქმარს შუაც ისეთი შფოთები ასტებს, რომ

ღმერთმა ყველა დაგვიფაროს ამ წინის შფოთებისა-  
გან! ეს ყველამ ბოლქმ შევიტყუეთ, რომ ერთი ერთ-  
მანეთში შფოთები სულ იმისი ენისაგან მოგვივიდა  
და ყველამ აჭყარა გულის ამ შატვი-ცემულ ქალს. სკ-  
ვირგული რამ არის: დღეს რომ ვინმე ცალანძლოს,  
ხვალ ისე მივა იმის სახელში, როგორც კარგი მეგობ-  
რად და გაუფენს იმისთანა ენებს, რომ თვითან სახ-  
ლის შატვიანსავე შეარცხვენს და ბოდიშს მოახდები-  
ნებს.—ერთი ესეც უნდა ვიკითხო: ნეტავ, სოფლის  
საზოგადოება ვაღდებულა არის იმისი დისა და ძმის  
შენახვისა? თითქმის ეს საში წელიწადია აქ არის და  
ჯერ ერთი ლიტრა ზური არ უყიდნია, სულ შატვი-  
ლებს აწიფებენ გამომცხვარ ზურებს და ვაი იმ შა-  
ტირდის ბრალი, ვინც დილით გამომცხვარ ზურებს არ  
მიუტანს და სშირად ქათამსა, კვერცხებსა, ერბოსა და  
სხვასა. ხვენ რომ ნებს აღარ ვაძლეოთ ჩვენ ქალებს,  
გვანაგვენ და ისე მიაქვთ. ვაი სავარჯიშო, რა კარგი  
განათლებაა შატვირდების მასწავლებელი ქურდობას ას-  
წავლიდა?!... ამასაც მოგახსენებთ, მოსწავლე ქალმა  
რო არა მიუტანოს რა, ერთ ორ თვეს ხმას აღარ  
გასცემს და ანც არას ასწავლის. ამას შატვირდები  
ძლიერ თაკილობენ და მეტი რა ჯანია, დედ-მამამ რო  
არა მისცეს რა, უნდა მოიზაროს და ისე მიუტანოს.  
ეს კარგი ბატონო, მიუტანონ შატვირდებმა თავის  
დედ-მამისაგან მოხარული და ნაქურდალი, მაგრამ ახ  
ერთი გავყვით ამ ჩვენს შატვირდებს შეკლასი და  
გავსინჯოთ რას აკეთებენ. ქალები დილით ადრე მი-  
დიან შეკლასი და თავის დროზედ სწავლას მოჭეკებინ,  
მაგრამ ერთი-ორის საათის შემდეგ ოსტატი ქალი გა-  
სსეირნებლად გასლებათ ხოლმე სოფელში და ჩვენი  
საწავლი ქალები ვი დაშობინ მასწავლებლის ქალის  
დის ხელში. ეს აღამიანც გახლავსთ ერთი საშინელი  
კაპასი, კარგა ხნის ქვრივი, ავის ენის შატვირდი. ეს  
ქვრივი თავისებურათ დასჭვივლებს ხოლმე შატვირდ  
ქალებს და კიდევან ბევრსა წესემს, თუ ვინმემ არ გა-  
უკეთა რასაც უბრძანებს—ნეტა თუ ესეც მთავრობი-  
საგან დადგინებული მასწავლებელია?! თუ ესეც მას-  
წავლებელია, ისეც ის წესობს, რომ ჩვენმა ქალებმა  
იმისგან არავითარი მკალითი არა ისწავლონ. ის  
გვიჩვენის ჩვენვე გამოვიყვანოთ ჩვენი ქალები შეკ-  
ლიდან და წინადა და შატვირდის ქსოვნა მანც ვასწავ-

ლოთ შინა, სხვა არა იყოს რა. ამასაც მოგახსენებთ,  
რო თუ სადმე წვეულება ვაიძაროთ ეს შატვირდები  
დანიები გინდა დაშატვირდული არ იყვნენ აუცილებელი  
სტუმრები არიან წვეულებისა. ქალების მასწავლებელი  
პ. ნ. აიღებს ხოლმე დიდს ჯიხვებს ხელში და თან  
სვამს და თან დაძღვრის ერთგვარს სიძღვრებს და  
თუ ვინმე დედაცნება არ დალივა ჯიხვებითვე ღვინო,  
აუტყვის ჩხუბს, ცალანძლავს და ეძახის გაუნათლებელს  
მხედს და კიდევ ღმერთმა იცის რეებს ვტყვის ხოლ-  
მე. ნეტა განათლება ის არის, რომ ქალებმა ჯიხვებით  
ღვინო სვან?! ეს კიდევ არაფერი, იმხარულად, სვას  
და კიდევან დიანძლოს, მაგრამ... ეჭ, ბევრს სხვა მა-  
გალითებსაც მოგახსენებდით, მაგრამ რა გამოვა!  
მთქმელს გამგონებ უნდა. ახა, ვისაც გესმის ჩემი  
სიტყვა, ერთი დაფიქრდი შენს გარდას და კარგათ  
გამოიკვლიე რა სინიღისი უნდა მოჭეკვით ჩვენს საწ-  
ვალს შატვირდებს შეკლიდამ ამისთანა მასწავლებ-  
ლის ხელში?

გლეხი ზ. დ.

სურამი 5 თებერვალს. მოხდა დიდი და საოცარი ამ-  
ბავი. დღეს სურამში მატარებლით მოიყვანეს ტატოს ამ-  
სნაგი ალერწიანი, რომელიც დაეჭირათ ს. მოხისში.

თათრული ანდაზა: ძუბით ვერ ჭბოვ, იქნება  
შეკვდესო. ხირადნებით ექუბნენ მაგას, ვერ ნა-  
ხეს, მაგრამ უეცრად შესკვდრით დაიჭერეს მოხისელებში.

ამას წინადა აქ რომ მოეზარათ ზურები და ქერები,  
იმისი მომზარავი დაიჭირეს საშურში და სურამის გამომ-  
ძიებელმა გავზავნა „ეშტაფით,“ როგორც აქ ქასიან  
სოფლიდამ სოფელადის გორის საზურობილეში. გზაზედ  
თურმე გაეჭვით მოხოსელებს და აი იმ ავასავის ძუბნა-  
ში შესვდნობათ მოხოსელებს ალერწიანი, რომელიც  
მოსულაიყო მოხისის დუქანში არაყის გადსაკვრელად —  
მუცლის გვრემს აწუხებდა თურმე იმ საწავლსა...

მოხისელებმა, რომ დანახეს ალერწიანი, დაიძახეს  
თურმე: აინივა, ჩვენ რომ ვეკებთ ეს ის გაცი არ არის?  
ამის გამგონს ალერწიანს — შემოფოთებულს გაჭტევა მოს-  
დობია. მაშინ მივარდნილა ერთი გლეხი და შეუხურია;  
ალერწიანს იმ დროს დაუტლავა ორ ჯერ მამასხლისზე  
რეკლევკი, მაგრამ იმის ბედზე ასტდენია. ის გლეხი,  
რომელსაც დაეჭირა ზირველად, დაჭრილია ორგან (სურ-

მეუღლე და მკვლავად.) მეორე ამხანაგი, რომელიც ქუე-  
ფა იქვე (ტატოს გარდა სხვა ამხანაგიც ქუელა)  
გაუფრესლავს და გაქცეულა.

გამომიბუქლმა შეიყვანა თავის ოთახში, დიდ ხანს  
ახსარება ათხრობანა. იმან აღიარა, რომ მართლაც, მე  
და ტატო ერთად გამოვეპარეთ სპარტომროსს, მაგრამ  
მომინვე გავეყარეთ ერთმანეთსა და ამ უკანასკნელ უა-  
მბედის ერთმანეთი არ გვეხსნა. ახლა რომ ამ ხანებ-  
ში ტატოს ბევრი ფულეა გაუჩნდა, მიმიპატიუა დროე-  
ბის გასატარებლად და კიდევაც ვატარებდითო. მართა-  
ვით ვიღაც წარაფი, სოკდაგარი გავცარტვით, მაგრამ  
სურამელი ხანუმაშვილის მოკვლასში მე არავითარი წილი  
არ მიმიღესო. არ ვყოფილვარ; მაგრამ იმისდა საუბედუროდ,  
ხანუმაშვილის ცოლმა და შვილმა სტენეს ალერწიანი.

ერთად შემოვარდნენ ავაზაკები და გატყეს წანდუ-  
ბი, ამოიღეს ფულეები, მაშინ ეს—ალერწიანი იღვასა-  
რებთან. ფანარი ხელში ეჭიჩა და მეორებს უთ-  
ხარა: მოჭკალით ეგა, თორემ ჩვენ ეს ამბავი არ შეგე-  
რებაო.“

ალერწიანი იქმნება 24 წლისა, არის შუა ტანისა,  
მკრთალი, შავწყურისანი, ცოტათი ჩოფურა; აცვია  
მკვლავად—ნაცრის ფერი ჩეჩქესა. გასამეხული ჰეჩანგი  
მინიშეთ, ავაზაკს გასამეხული ჰეჩანგი!) ვინც ელავა-  
რება, იმას ვასუსს აძლევს ღანძვით და გინებით.  
ამდინებს უფურებს რაღაც მოშიშარის სხნათ, როგორც  
სხეში ჩავარდნილი მგელი.

თუ გამოძიება ჭიდროთ დაიჭერს საქმეს, იმედის  
მოწყობადება ბევრი საიდუმლოები, რომლის ძალით აქნა-  
მდისინ ეს ავაზაკები ასე შუბლ ღიად მეფობდნენ...

ს. ბავრელი.

კარგი რომ ქვირდეს გი-  
გვირდეს ავი რა საკვირველია!  
რუსოველი.

საშუაღი. 10 თბ. მართლაც რომ ცუდი ბედისაა სურამის  
რისტა. ბევრად განიჩქევა იგი საქართველოს სხვა ნაწი-  
ლისაგან. სიღარიბე, გაჭირვება, ყოველივე ნაკლი აქ გამო-  
ვლია. საითაც გაივლით, სასიამოვნო და კარგის ყუ-  
რების დიხს სავანს ვერ ნახავთ. მაგრამ დასელავნე-

ბული კაღადი გულსაკვდავის სურათების გამოსასატყავად,  
ხალხის ცხოვრებაში ბევრ სავანს იზოვის...

სურამის საზრისტაო მიძინებულა რაღაც გრძნეუ-  
ლის ძილით.

მანც რომც კაცი უბედო იქნება და იმისი საქმე  
მარცხად წავა, ის მაშინ მიეცება ან სიმთვრალეს, ან  
სასოწარკვეთილებას. თუ სულ მოკვდა ეს უკანასკნელი  
აუცილებელია. სურამის საზრისტაოც მაგ ყოფილა.  
ყოველ მხრით გვესმის სასიამოვნო ამბები, ზო-  
გან მართვენ სასწავლებლებს, ზოგან საამხანაგო ბან-  
კებს და სხვა საზოგადოებისთვის სასარგებლო საგნებს—  
ერთის სიტყვით ხალხი რაღაც ფაცა-ფუცში არის.

მაგრამ აქურტებს კი ჯერ უფრებდამ ბამას არ გა-  
მოუცლიათ. მაგისთვის რათ შეიწუხებენ თავს—უშეგე-  
ული ჭირი სჯობია, შეუჩვენარ ღსინსაო“.

მთელი სურამის საზრისტაო შედგება ორმოცდუ-  
მეტს სოფლებისაგან, ამაში სამი-ათისი სოფელი სომ-  
ხებისაა. დანარჩენი სულ ქართველები, რსები და იმერლე-  
ბი არიან. მთელ საზრისტაოში ფანრით რომ იაროდ და  
მიკროსკოპით განჩივროთ, ერთ შეოლას ვერ ნახავთ.  
მგონი ქარელში კი იყოს.

განა არ არის უფრადლების დიხსი ეს სავანი და  
მოკვლენა? რა მიზეზია, რომ ყოველგან იმართება და  
გრცელდება სასალხო სასწავლებელი, აქ კი არა! აქ რა-  
ღაც საიდუმლო რომ უნდა იყოს.

რაც მომივა, მომივა, მე სამედველავებას უნდა ვუ-  
საყვადურო.

ეს სულ იმ მიზეზით არის, რომ აქ არა გვევს  
რიგისანი ახალ გაზდა მდვდლები. აქ არიან რაღაც და-  
მის წლისანი. ახალ გაზდები ძალიან იშვია-  
თად მოიძებნებიან; თუ არიან, ერთს სამი ოთხი სოფელი  
აბარია, ისე რომ არათუ შეუძლიან მოკვდა, არამედ  
ვერც მოასერსებს.

სასალხო შეოლების ბედი და უბედობა ბევრად და-  
მოკვირებულა ჩვენს მდვდლებზე, ამიტომ რომ ისინი  
სცხოვრობენ იმ ხალხში, რომელსაც ეს საჭირება აქვს:  
ხალხის ბედ-იღბალი, ავი, კარგი და რჯანის სი-  
დუმლო იმათვის არის ცხადი. მაგათ უნდა იზრუნონ.

მეითხველს კი არ ეგონას, რომ ვითომ მსურდეს, რომი  
თვითონ იმთ საკუთრად გამართონ და სასწავლონ შავი-  
ლებს. არა, დიერთმან მოკვამოროს მაგისთანა წყალობა

თავის დღეში მკვას ან ვისურვებ, ამიტომ რომ ახლაც მასსოეს ძველის მღვდლების მოქმედება; მასსოეს როგორც სასეზე თავლს მცხოზდნენ და მსეში მანერბდნენ, რომ ბუსებს შევეწუხე; მასსოეს როგორ მიფლასავდნენ სოლმე ფესებს (უწინ იტოდნენ, დამნაშავე შაგირდს ჩამოჭვიდავდნენ თავლდმა და ფესის გულზე სტემდნენ სასაზავებოთ.) და როგორ წაალებში ვიყავით მღვდლის ჯალბის გაუტანელ ბრძანების გამო. ანა, რათ შევაწუხოთ ისინი, მსოლოთ მე ის მინდა ვსთქვა, რომ ჩაგონონ, აჩვენონ გზა სიძარტლისა და სატკებლახა სწავლისა. აი მე რა მინდა ვსთქვა:

მღვდლებს შეუძლიანთ იქონიონ გლეხებზედ დიდი გაგულენა. იმათი თითო სიტუვა, თითო რჩევა გლეხისათვის წმიდა და დაურღვეველია, მსოლოდ, რა საკვირველია, იმათი, ვისაც იავისი თავი უცნობებია სანდო და მატეოსისანი პირად . . .

მე კარგად მასსოეს, როცა ყმაწვილი ვიყავ, როგორც სოფელელები სადამ-სადამობით მუშაობის შემდეგ მოგროვებოდნენ მღვდლის სახლის წინ. გამოვიდოდა მღვდელიც, დასნდებოდნენ იქვე ტდებულ ლოდებზედ და მოსაიფობდნენ. მაშინ ყველა გლეხი ჭკითხავდა თითო რჩევას. მაშა მღვდელიც მისცემდა, შეძლების დავარ რჩევას. უსაფულოც რომ ყოფილიყვნენ იმისი რჩევანი და წურთხანი, მანინ გლეხები დიდის სიამოვნებით ისმენდნენ და ასრულებდნენ, რადგან მღვდლის ნათქვამი იყო. მაგრამ ეჭ, ვის უნდა გაავრონ! ტურცვი კედელს, ტურცვი!

ამ ჭზრისავე უნდა ვიყვნეთ ხალხის ცრუ მოწმუნობაზე და მკითხველის მიმდევრობაზე. ისე კვირა ან გაიჯლის ზაფხულში, რომ ათობით ან გამოიარონ მწიკრებმა შესალოცავათ და მკითხველს საკითხავად. ჩვენში ყოველს დელეს, ბოგინს, ხეობას აქვს თითო ნიშნეულება. ზოგან ამბობენ, ეშმაკებია, ზოგან ჭინკები. საცა ეგულებათ ესენი, სანადლოც რომ მისცეთ, დამით ან გაიჯლიან, და თუ გაბედეს გაიარეს, მაშინ ვითომ ან გაგიჯლებიან ან პირები დაგვრისებათ. . . .

აი ეს უფრო ვალად ჭქევს მაშა მღვდლებს, რომ ჩაგონონ, მაგრამ რის ჩაგონება, როცა თვითონ ხელს უწყობენ მკითხველს; . . . ამის შესახებ მე შემიძლია მოგიყვანო მაგალითად ფრანგები, რომლებშიც ეს მავნე სენი სრულაობით არის ახსნილი: იმათის მატრების წყა-

ლობით—ყველა ფრანგმა იცის და ჩაგონებულიც აქვს რომ ეს ყველა სიტრუა და თუ გაბედა და მივიდა მკითხველს, მაშინ ის გამოგდებული იქნება ემელებისაგან, შეჩვენებული მამისაგან. ამისგამო კრიდების მაგაებს, როგორც ეშმაკი მღვდლებსა . . .

აქაური შოკლების საქმე, დიდი ხანია შავის ბედისა ჭყოფილა. რომელ სოფლის გლეხსაც საუბარი დაუწყო ამის შესახებ, ტაიგებ ერთსა და იმავე ჩივილს რომ „ბატონო, გამოვიდეთ ფულები, ავაშენეთ სახლი შოკლისათვის, მაგრამ ამავალმა და შთამავალმა სალიც შეჭამეს, ფულებიც.

მე ზედ მიწვინით ვიცი სამი ოთხი სოფლისა, რომ ასე ყოფილა. მაგალითად სუტამი, ბეკამი და სხვა.

ხსენი გამოგვებმა ყვირილით: შოკლები გვინდა, მატრონი ანა გვევს! მაგრამ ვერავის ვერ გაავრონეთ. ვის უნდა გაავრონ—ჩვენ გუდა-ბოიკა თავდა-ზნაუტებს, თუ ინდოურივით გასიებულ მოხელეებს? ნეტა ერთი—სახლსო შოკლების ზედამხედველი ერთხელ რათ ან დაიჯლის და ან ტაიგონებს ამ ჩვენის სახლის დიდლებს!?

ბ.

### საპოლიტიკო მიმოხილვა

**წმრილი ამბები.** აღმოსავლეთის საქმის მომავალ გარდაწვეტაში რასაკვირველია საბერძნეთსაც ექმნება თვისი ჯეროვანი მონაწილეობა. თუმიცა საბერძნეთი აქამდისინ თითქმის სრულიად ჩაჩუქებული იყო და აწავითარ მონაწილეობას ან იღებდა ომიანობაში, მაგრამ მისი მნიშვნელობა ბალკანის ნახევარ-კუნძულის მომავალ მონაწილეობაში იმ გვარია, რომ მასაც ექმნება ხმა და კენჭი. ამოელი ევროპა ჭგომნობსო, ამოებს გაზეთის *Independance Belge*-ის რომელიც გოტრესზონდენტია, რომ ბერძნის გვარტომობას უნდა მიეცეს ჯეროვანი განვითარება და მით ასცილდეს ევროპას სლავიანის ტომის თავ-დაცვლა. ამ აზრისა ანაინ მეტადრე ინჯლისი და იტალია, თუმიცა ამ ბოლოს დროს ეს ორივე სასულემწიფო უჩრედა საბერძნეთს ზომიერებას და შეწყობა რებსა. ჯერ-ჯერობით ვი მტკიცედ უჩვენეს ბერძნებს თვისი თანაგრძნობა მით, რომ შეიმავრეს ოსმალეთთან ან დასავჯინეს მას საბერძნეთი. იტალიის დემოკრატებს

საბრუნებელ საბერძნეთის საქმისათვის შეწყვეტეს და დასმარებას. დენკერლმა გარბინა დამი მისწერა წიგნი თავის შვილს მისტრტის, რომ უქვეითობის გამო ვერ დაკრძალა ჩემს გუნდსა და შენ ისმარე უკველი დონისძიება აგები იტალია დაქმნის საბერძნეთსა. დღეს დღით მე-ნოტრის მოსვლია ათინიდაში წიგნი, რომლითაც ატყობინებენ, რომ საბერძნეთის სატანტო ქალაქის უმაწვილ-კაცობა დიდის სინხრულით ამოიხრჩხეს მას თავის მოთავედ. მას იტალიის ყველა საბერძნეთის ძალა საბერძნეთს მიუდგება, თუ ასალი შეტაკება რამ განდგა. გამბეტას დასის გაზეთის „République Française“ ახრითაც, მომავალ კონფერენციაში დიხრული ადგილი უნდა მიეცეს საბერძნეთსაც. ან დავივიწყეთ, რომ ბალკანის ნახევარ კუნძულზედ სლავანთა გარდა სუფიკენ აგრეთვე ბერძნებიც, რომელნიც ჭკუით, ხეობით თუ მხნეობით არამც თუ არ დაუკარდებიან მაგლითებ, ბოლგარიელებს, არამედ მათზედ უპირატესნი არიან. გარდა ამისა არ უნდა დავივიწყეთ, რომ საბერძნეთი არის ზღუდე შემოსევისათვისა და ერთგული მეგობარი ყველა ლათინურ სახელმწიფოთათვისა.

— ძალიან ადვილად უნდა თურმე ღონდონის სასოგადობა, როდესაც ამბავი მისვლია, რომ სონტაქს ნება არ მიუცია ინგლისის სამხედრო სომალდებისათვის დარდნელში შესვლის შესახებ. მეტადრე იმ გარემოებას შეუწყობია ღონდონი ვითომ რუსეთმა გაათავა თავისი ომიანობა იმით, რომ დაუმეგობრდა რუსეთს და მით ცოტად თუ ბეჭდად ფეხი მოსდო ინგლისისა და ავსტრიის შორის ზავს ან ზავისათვის მოლაშრაკებას.

— აი რას ამბობს აღმოსავლეთის საქმის შესახებ ინგლისის გაზეთი „Times“: რუსეთისა და რუსეთის შორის ომიანობა შესწუდა და დადგა ასალი, უფრო ძვილი და სპიში ხანა აღმოსავლეთის საქმისა. ადვილად მოსაზრებელი იყო, რომ რუსეთი დამარცხებული გამოვიდოდა რა სახელმწიფოთანაც (ევროპის) უნდა ეომნა. დღეს ეს საქმე რუსეთმა აღასრულა და სხვა არც ერთი სახელმწიფო არ დახმარებია რუსეთს. მაგრამ საქმის სამუდამო დაბოლოება მაინც ძნელია. ერთმანეთის შერიქისტიანე სახელმწიფოთა შორის ისე ისე სუფიკენ როგორც უწინ. ბოლგარია, ბოსნია, ჭერცოგოვინა და თვით რუმინიც განთავისუფლდნენ რუსეთის ფლობელ მისგან, მაგრამ ამის მაგივრად ვინ დაუწყებს მათ პატ-

რონობას. ჯერ-ჯერობით რუსეთი, მაგრამ შეუძლებელია, რომ მისმა მიფლობელობამ დიდხანს გასწიოს. განთავისუფლებულნი ვრევიცაები და დამოუკიდებლად აღიარებულნი სამთავრონი ასლის მიფლობელობის ქვეშ იმავე მოუთმენლობას იჩენენ, როგორც რუსეთის დროს.

როდესაც გარდაწყდება ასლი დაპრობილ ვრევიცაების ბედი, ავსტრია თავს დაიჭერს თავის საბერძნეთსა და შეიძლებს, მეტადრე ინგლისის შეწყობით, დაბრკოლება აუტყვოს საქმის იმ გარდაბოლოებას, რომელიც მოასწავებს მისთვის ვნებას და ზარალს. ერთის სატყუით რუსეთი. რომელიც დასძლია რუსეთის წინააღმდეგობა, დგას ესა ევროპის პირდაპირ, და მხოლოდ ესა არის წარმომდგარი ნამდვილი აღმოსავლეთის საქმე.

რუსეთმა ჩაიგდო ხელში მიფლობელობა, და თუ მან თითოეულ სახელმწიფოთთან ცალკე დაიჭირა საქმე ადვილად შეიძლება აჯობოს ამ თვითოეულ სახელმწიფოს და შეიძინოს საბერძნეთსა, რომლის დიხსი არ არის.

— ინგლისის გაზეთის „Daily Telegraph“-ის სტამბოლიელი კორესპონდენტი იწერებს, რომ ვითომ რუსეთს სრულიად შეუწყობდა რუსეთს, არ უპირებს დეპანის გაზეთის კონფერენციაზედ, რადგანაც იგი იმ ახრისა თურმე, რომ ჩემი საქმე გათავდა და დანარჩენი ევროპისთვის მიმინდვია, რაც უნდა ისა ჭქმნას.

— ინგლისის გაზეთს „Standart“-ს სწერენ სტამბოლიდამ, 10 თებერვალს: როგორც იმის, დიდი, მთავარი (ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე), შეიტყო თუ არა, რომ რუსეთი თანახმა არ არის შეკავების პირობებისა, სტამბოლზედ მისვლას აპირებს. სონტაქსის სასახლეში მინისტრები შეყრილან. მათ შორის ბევრს ჭსურს დაჭყვევს რუსეთს.

გარდა ამისა მოვიდა შემდეგი ოფიციალური ამბავი დიდის მთავარისა: „დღეს (ე. ი. 12 თებერვალს) დამის 4 საათზე რენის გზით მოვედი სან-სტეფანოს, \*) სონტაქსის ნება-რთვით დღეს შედიან (სტამბოლში?) პრობრაქსისკის პოლიცი, უახსებო; კანკის როტა ჩემთან არის. რუსეთსა და გვიცალებს ადგილი, სტანციაზედ მიმეგებნენ ბერძნის სამდვდელოება და მეჭმედალი-ფაშა. მშვიდობიანობასა. ჯარი კარგად არის.“

\*) სან-სტეფანო სტამბოლზედ რვა კვირისაგან არის.

მღვთის სიძლიერები.

დედა ჩემო, გამათხროვე  
 რას უყურებ რასაო,  
 ჩემი ტოლები გათხოვდნენ,  
 გაუყენეს გზასაო;  
 შეილებით სავსე არიან  
 გვერთ უსხედან ქმარსაო,  
 რჯასს ემსახურებიან  
 სახლს უკვლიან გარსაო.

მადლიდგან გადმოვიხედე  
 მოედანს დიდი ერიო,  
 ის ჩემი მეგობარი მიჯნურნი  
 ათას გაუკაცში ერიო,  
 შავხედე არ შამამხედა  
 თვალს ცრემლი გადმოქერიო.

ქარი ქრის, ქარი დუღუნებს,  
 მადლა ჩარდახში უბერვს,  
 შიგა წინ ქალი ლამაზი  
 მოვის ვერანგსაც მიკვრავს.

აგი გითხარ, დედათილო,  
 ნუ გამგზავნი წისქვილშია,  
 იქ ბიჭები დამხვდებიან,  
 ჩამავდებიან სირცხვილშია.

შენა საჩ სკედის მომკვლელი  
 წამლის დამდეგი წყლურხედა,  
 ნეტა როდის კვირსები  
 შენ დაგეკონო გულხედა.

ჩემქვს მინდობს გადვიხედე  
 ნისლი იდგა შავის მთისა,  
 სამი ქალი თივას ჭთობდა  
 სამივ ჩემქვს ბატონისა,  
 სელში ეჭირათ ტყელები,  
 შირი ჭქონდათ აღმასისა,  
 სიმღერასა დასმარდნენ  
 როგორც ანგულასნი ცისა.

მე აქედამ ვერა გხედამ  
 ნისლისა და ბურისგან ;  
 შენ უჩემოდ როგორა სძლებ  
 მიკვირს შენი გულისგან?  
 მეზავრი მუავს შევერებული  
 მუდამ შენი კითხვისგან.  
 ვინც რომ არ დამივიწყებ  
 შენის გარვის გულისგან,  
 დამივიწყებ გარგათ მკვანდე,  
 მე მჭირს ჩემი ბედისგან.

სოიელა ცრუგო, მტუენო,  
 საბრუნვისა მასეო,  
 ზოგას აიყვან ცათმდინ  
 ზოგას უკუღმა აქცეო.

ზოგიერთა გლეხი კაცი  
 ცას ავა, როდი ჩამოვა,  
 ქალაქში ქაშებს იყიდის,  
 შინ ბაკა-ბუკით ჩამოვა...  
 დასჯერდეს მამის ვლანებსა  
 თორემ იქვე ჩამოვა.

გაოღენიმი სიტყვა რიზიანის „საწერის დედის“  
 უმონველოზაზედ

„...Въ наше время нѣтъ ни у одного народа алфавита такъ хорошо приспособленнаго къ языку, какъ у грузинъ“.

БАРТОВЪ.

„...Если смотрѣть на грузинскій алфавитъ въ отношеній къ самому грузинскому языку, то нельзя не сознаться, что онъ удовлетворяетъ всемъ условіямъ: едва ли это не есть совершеннѣйшій изъ всѣхъ существующихъ алфавитовъ. Каждый звукъ выражается особымъ знакомъ, каждый знакъ постоянно выражаетъ одинъ и тотъ же звукъ. Во всѣхъ европейскихкихъ языкахъ есть камень претяженія, — орфографія; для грузинъ, благодаря совершенству ихъ алфавита, этой трудности не существуетъ“.

ПЕТРЪ УСЛАРЪ.

ყოველი ქართული და მათან ყოველი გულისთ მოსურნე ქართულის ენის შესწავლისა, ვაღებუღიან მიაქციანს უფრადღება ქართულის ანბანის“ სიმშვენიერეს, მისს აუარებელს ღირსებას და მისს გამონატულებას არ დაუკარგოს წერის დროს ის სიმშვენიერე, რომელიც შეადგენს მისს უტილობელს გუთვნილებას.



ვინ არ იცის, რომ „ქართულს ანბანს“ ცალი არ მიაქიება ახსად და ისრეთი ანბანია, როგორც კი შეუძლიან მსოფლოდ წარმოიდგინოს სხვა ტომის გაცნა.

„ქართული ანბანი“ სათითაოდ შეიტყავს ყველს იმ სმებს, რომელთ წარმოთქმაც კი შეუძლიან ქართველს და უკველს შემთხვევაში ერთის ხმის გამოხატავდა აქვს ერთი და იგივე ნიშანი. ამისათვის ქართველისათვის რაღაცაა ან აჩვენებს. წარმოიდგინეთ ბერძნული, ფრანგიული, ლათინური, ინგლისური, ნემეცური, იტალიური, რუსული და სხვ. ანბანების უკარგისობა რაღაცაა გრძელის შესახებ: რუსმა იცის თვის ენაზედ ლაზარაკი და რასაც სწორეთ ლაზარაკობს, მას სწორეთ ვერ დასწერს: МІРЪ (ქვეყანა, მსოფლიო) და МИРЪ (შვიდობიანობა), БІТЬ (ჭამა), ЕСТЬ (არის); წარმოიდგინეთ: И, І, Ы, ІІ, ІІІ, Ы, ЫІ, Ъ, და მათი წერის დროს ხმალების სიმკლე. „ქართულს ანბანში“ ამ გვარს რასმეს ადგილი არ აქვს; ქართველი—ნასწავლი და უგიცი ერთსა და იმავე სიტყვას ერთნაირად დასწერენ. მაშასადამე ქართულს ერთი ათად ადვილად შეუძლიან ისწავლოს „წერათვის“, სანამ რუსს, ან სხვა გვარ-ტომის გაცნა; ქართულს ამ შემთხვევაში მარტო ის შრომა მოუვა, რომ ბერძნული,—დაიხსომოს ხმა და ნიშანი ხმის გამოძისტეული და მეორე,—ისწავლოს ამ ნიშნის რიგისი გამოხატვა, ესე იგი გარგის ხელით წერა.

აზა გვინია რომ „გარგის ხელით წერას“ (კალიგრაფიას) ვინმე რაცხდეს ანა დიხსად ზრუნვისა. „გარგის ხელით“ წერა ბევრს შემთხვევაში ფასდაუდებელია და სანატრელი: რამდენია, რომ „გარგის ხელით“ გადამწერს თავ-გაწეწილი დაეძებს.

ვიფიქროთ ისიც, რომ „გარგის ხელით“ წერა სიუფთავეს, სიფაქიზეს მოითხოვს, რომელიც განვლენას იძინებს. ის, ვინც ერთში აგ-გარგის აჩვენს, მეორეშიც ადვილად შენიშნავს \*). იგი ადვილად ეკიდება გა-

მოძიებლობის გრძნობას აგ-გარგის გარჩევინათვის უკველ საქმეში \*).

მეგახედეით ვიტყვი: არ შეიძლება „გარგის ხელით“ მწერალი გარგი მკითხველი არ იყოს; მაგრამ შეიძლება კი ყველა გარგი მკითხველი „გარგის ხელით“ მწერალი არ იყოს. აქ საჭიროა ითქვას რა არის „გარგის ხელით“ წერა? ამ კითხვის პასუხი დიხსია ურადლებისა და ისე უბრალო არ არის როგორც ბევრი წარმოიდგენს.

„გარგის ხელით“ ბევრი ჰსწერს; ერთს ერთის წერა მოსწონს, მეორეს სხვისა და სხვ. მაგრამ არ შეიძლება ერთის „ხელით“ მეორისას არ ჰსჯობდეს.

„გარგის ხელით“ დანაწერის პირველი დიხსებაა გარჩევა—რომ ის ადვილი წასაკითხი იყოს სწავლულისთვისაც და უსწავლელისთვისაც როგორც კი შეიძლება, მეორე ის, რომ ასრების გამოხატულება სასიამოვნო იყოს თვალისთვის; და მესამე—რომ რაც შეიძლება ცოტა ადვილი ეჭიროს \*\*).

